პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

შაბათი, 15 ივლისი 1989 წელი ● № 29 (2854) ● СУББОТА, 15 ИЮЛЯ 1989 г.

პოზიცია

## ყოველი წერილის მიღმა ადამიანია

ვინც მილიციის საქმიანობას კარგად არ იცნობს ალბათ ფიქრობს, რომ ამ ორგანოს მუშაობის მოვალეობა მარტო დანაშაულის გახსნა ან დამნაშავის დაკავება არის. სინამდვილეში კი...

ვინ იცის დღეში რამდენჯერ დარეკავს ტელეფონი სამორიგეო ნაწილში, რამდენი კაცი შემოაღებს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკთა სამუშაო ოთახის კარებს, ბევრი მათგანი საჩივრის წერილს, განცხადებას ანდობს თავის გასაჭირს და სჯერა, რომ შენც დახმარების ხელს გაუწვდი — გაუწვდი კეთილსინდისიერად, დაუზარებლად.

ამიტომაც არის, რომ მშრომელთა საჩივარ-განცხადებებზე მუშაობა მილიციის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული და პასუხსაგები უბანია. მილიციის მუშაკს, რომელიც შემოსულ განცხადება-საჩივარს ეცნობა, უნდა ჰქონდეს პრინციპული მოქმედების უნარი, მახვილი თვალი, ფაქიზი და თბილი გული, რათა სრულად იგრძნოს თუ რა უჭირს ადამიანს. მასთან ისინი გვეხმარებიან კვალდაკვალ მივყვეთ მოვლენებს, განვახორციელოთ სათანადო ღონისძიებანი. ყოველივე ამის გათვალისწინებით სათანადოდ მივუთითეთ იმ განყოფილების თანამშრომლებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან შემოსულ წერილებს, განცხადებებს. გულგრილობის, უხულგულობის არც ერთი ფაქტი არ რჩება მკაცრი რეაგირების გარეშე. მიუხედავად ამისა ამ საქმეში ჯერ კიდევ საკმაოდაა ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება განხილვის ვადის დარღვევაში, შესრულების დაბალ ხარისხში: ორი თვე მოუნდა მოქალაქე გ. ზუბბაიას განცხადების განხილვას სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული ზ. მოსიაშვილი. ასევე უბნის ინსპექტორებმა: გ. ძაძუამ და გ. ცაავამ ორ თვეზე მეტ ხანს გააჭიანურეს მოქალაქეების: თ. გუნცაძისა და ე. ბერიშვილის განცხადებების განხილვა. ყველაზე საგანგაშოა ის, რომ ზოგჯერ ასევე ვაჭიანურებთ დანაშაულის ფაქტებზე რეაგირებას. მაგალითად გასული წლის ოქტომბერში ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის გალის ფილიალიდან შემოსული მომართვა სახელმწიფო ქონების ქურდობის შესახებ დაეწერა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს ნ. ჯობავას. მან აღნიშნული მომართვა ასევე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულს მ. შენგელიას გადასცა და ყველაფერი ამით დამთავრდა.

მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებს, დანაშაულის ფაქტებზე დროულ და კანონიერ რეაგირებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს რაიგანყოფილების მომკვლევი გ. ჯეჯეია.

არის ფაქტები, როცა ამა თუ იმ დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვება ახალ, უფრო მძიმე დანაშაულს იწვევს ამის მაგალითია პირველ გალში მომხდარი მეტად მძიმე ფაქტი. ვფიქრობთ თავის დროზე რომ მიგვეღო ზომები კარტოზიას მიმართ, შეიძლებოდა აღნიშნული ტრაგედიის თავიდან აცილება. შემოსული მწვავე სიგნალები კი თითქმის რეაგირების გარეშე დარჩა. აქედან სათანადო დასკვნების გაკეთება ყველას გვმართებს.

მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების დროული და საქმიანი განხილვა ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს — მასში დასმული პრობლემების დროულად გადაწყვეტას. ბიუროკრატიულობის, გაჭიანურების შემთხვევაში კი საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს. ადგილი აქვს განცხადება-საჩივრების ხელმეორედ შემოტანის ფაქტებს, აგრეთვე იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომლებიც დახმარებისათვის წვრილმან საკითხებზე მიმართავენ ზემდგომ პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სამწუხაროდ ზოგიერთმა ჩვენმა მუშაკმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ თითოეული წერილის უკან დგას ადამიანი, რომელიც დიდ გულისხმიერებასა და ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან..

ჯ. ბაბელია,

შინაგან საქმეთა გალის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.

## ПОЗИТИВНЫМ ПЕРЕМЕНАМ— НЕОБРАТИМЫЙ ХАРАКТЕР

**С каждым днем все более заметны признаки нормализации обстановки в городах и селах Квемо Картли, постепенно спадает напряжение, вызванное спровоцированными безответственными элементами беспорядками. На площадях, где совсем недавно бурлили митинги, спокойствие, на полях — оживленная деятельность, идет сбор урожая, постепенно восстанавливается нормальный трудовой ритм предприятий и организаций. Сейчас, пожалуй, только усиленные наряды милиции на дорогах напоминают о происходивших здесь недавно драматических событиях.**

**ОЦЕНКА** происшедших событий и причин, их вызвавших, еще впереди, однако следует отметить, что главное сделано благодаря совместным усилиям партийных и советских органов, подразделений органов внутренних дел и внутренних войск. жизнь людей входит в привычное русло, обстановка в регионе на сегодняшний день полностью контролируется.

А еще в конце прошлой недели и в начале нынешней напряженность сохранялась. Так, в результате проведенных оперативно-профилактических мероприятий 7 июля был задержан житель села Ибиси Амасийского района Искандар А., у которого во время осмотра автомашины на КПП Ратевани был обнаружен и изъят самодельный кастет. В Болниси был задержан Мустафа А., у которого изъят кнопочный нож и резиновая дубинка. По данному факту возбуждено уголовное дело. 9 июля в Болниси во дворах дома по ул. Советской, принадлежащего Имраму М., и дома по ул. Руставели, принадлежащего Ямару А., произошло два взрыва, вызванных, по предварительным данным, самодельными взрывпакетами. Пострадавших и повреждений нет, сотрудниками СУ МВД ГССР ведется следствие. За последние дни у населения изъято более 200 охотничьих ружей. Так что притупить бдительность, несмотря на определенное улучшение обстановки, сотрудникам милиции и бойцам подразделений внутренних войск нельзя, поэтому они находятся в постоянной готовности пресечь любые антиобщественные проявления.

10 и 11 июня в Болниси, как сообщили нам прикрепленные к функционирующему здесь оперативному штабу МВД ГССР инструктор отделения организационно-партийной работы политотдела МВД ГССР майор внутренней службы А. Дарджания и начальник отделения ООП УВД Тбилгорисполкома майор милиции В. Дгебуадзе, сохранялась спокойная обстановка, фактов нарушений правопорядка зафиксировано не было. В районе работают все совхозы, торговые точки, предприятия райпотребсоюза, бытового обслуживания населения. С полной нагрузкой трудятся коллективы Тамарисской и Имирасанской птицефабрик, большинства промышленных предприятий, хотя часть из них работает пока с перебоями.

Стабильная обстановка сохраняется и в Марнеульском районе. Действующий здесь оперативный штаб министерства проводит большую и целенаправленную работу по расследованию фактов противоправных действий, выяв-

(Окончание на 2-й стр.).





**НА СНИМКАХ:** во время проверки автомобилей на Телетском посту ГАИ; дежурство у въезда в Болниси несут милиционеры подразделения ППС УВД Тбилгорисполкома сержант милиции Т. Метревели и старший сержант милиции Г. Перадзе.

## ПОВЫШАТЬ УРОВЕНЬ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ПОДГОТОВКИ

**ОДНИМ** из испытанных и действенных средств повышения эффективности оперативно-служебной деятельности ОВД является планомерная и целенаправленная работа по совершенствованию и углублению профессиональных знаний и практических навыков сотрудников милиции. С учетом происходящих в системе органов внутренних дел страны процессов перестройки стиля и методов работы отдел профессиональной подготовки УК МВД ГССР в последнее время существенно повысил требования к служебной подготовке личного состава, наметил и приступил к осуществлению практических мер по совершенствованию функционирующей в министерстве системы профессиональной подготовки.

В целях обеспечения систематического и непрерывного обучения кадров в начале нынешнего года во все органы и подразделения министерства был направлен приказ МВД ГССР с изложением тематики по всем предлагаемым к изучению предметам. В отличие от разрабатывавшихся ранее аналогичных документов в нынешнем основное внимание акцентировано на необходимости максимального приближения учебно-теоретического материала к практической деятельности, дана более четкая дифференциация этого материала с учетом специфики отдельных отраслевых служб и соответствующих аппаратов на местах.

Планомерная организация и действенность системы профподготовки как первоначальной, так и дальнейшего повышения служебной квалификации приобретает особое значение ввиду постоянно происходящего естественного движения и обновления кадров. Ежегодно в ОВД республики принимается на службу до тысячи молодых специалистов. Обладая соответствующей теоретической подготовкой, они в то же время остро нуждаются в специфических знаниях, практических навыках, необходимых для качественного выполнения своих функциональных обязанностей.

Обучение вновь принятых сотрудников проводится последовательно в два этапа — индивидуальное обучение по месту службы под руководством непосредственных начальников и выделенных наставников и первоначальная подготовка в учебных заведениях МВД ГССР. Подготовка лиц, принятых на должности руководящего состава министерства, осуществляется на Высших академических курсах Академии и выс-

(Окончание на 3-й стр.).

## თანხა დახმარების ფონდში

შს ონის რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ქ. თბილისში 9 აპრილის მემორიალის აგებაზე გადარიცხეს 880 მანეთი, ამდენივე თანხაა გადარიცხული აჭარაში მომხდარი სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად.

რ. მეტრეველი,

შს ონის რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.

# Позитивным переменам — необратимый характер

(ОКОНЧАНИЕ)





лению виновных, обеспечению в районе должного порядка. За прошедшую неделю здесь также не было допущено антиобщественных проявлений. «За период проведения мероприятий в городе Марнеули, — говорится в выпущенном оперативным штабом «Боевом листке», — личный состав городского и районного отделов внутренних дел и подразделений МВД ГССР в большинстве своем проявил дисциплинированность, оперативность, самообладание, добросовестно выполнял поставленные перед ним задачи».

Успешным и эффективным действиям сотрудников милиции во многом способствовали прочные деловые контакты, установленные оперативным штабом с партийными, советскими и административными органами района. Тесное взаимодействие с ними в решении всех неотложных задач позволяет совместными усилиями контролировать обстановку, активно вести среди населения разъяснительную работу, своевременно предотвращать возникновение конфликтных ситуаций. Так, например, в конце прошлой недели в городе упорно муссировались слухи о возможных массовых выступлениях и несанкционированных митингах, однако благодаря своевременно принятым профилактическим мерам как в выходные, так и в последующие дни в г. Марнеули и его окрестностях сохранялась спокойная обстановка.

«После проведения актива города с участием командиров подразделений ОВД за каждым работником партийных и советских органов, руководящим сотрудником милиции были закреплены определенные участки работы. Ежедневно в 9 часов вечера у нас в штабе подводятся итоги проделанной за сутки работы, определяются конкретные задачи на следующий день, — рассказывает возглавляющий оперативный штаб заместитель министра внутренних дел республики полковник Т. Эпиташвили, — постоянную помощь в работе оказывает нам министр внутренних дел республики, который определяет главные направления работы, проявляет постоянную заботу об организации питания, быта наших сотрудников.

Сейчас наша главная задача помимо охраны общественного порядка заключается в ведении разъяснительной работы среди населения. С этой целью мы регулярно встречаемся с наиболее уважаемыми представителями различных национальностей, социальных групп, жителями сел, объясняем им необходимость сохранять выдержку и спокойствие, не поддаваться на провокации экстремистски настроенных лиц. И люди практически во всех случаях правильно понимают нас, сами помогают в нормализации обстановки. Особенно большую роль в этом играют сельские советы и народные дружинники.

Особое внимание мы уделяем рассмотрению писем с жалобами и заявлениями граждан. На днях вместе с побывавшим в районе начальником отдела ГУООП МВД СССР полковником внутренней службы В. Кочергиным и первым секретарем Марнеульского райкома партии К. Мамедовым рассмотрели ряд подобных писем, приняли необходимые меры. Люди должны знать, что ни один их тревожный сигнал не будет оставлен без внимания».

В заключение нашей беседы полковник Т. Эпиташвили с удовлетворением отметил уверенные и четкие действия в сложной обстановке сотрудников органов внутренних дел республики, особенно выделив сводные подразделения МВД Аджарской АССР, УВД г. Кутаиси, Тбилисского факультета МВШМ МВД СССР, подразделения внутренних войск под руководством полковника В. Пузырного. Сейчас подготовлен список на 200 сотрудников милиции и военнослужащих подразделений ВВ, которые за добросовестное выполнение служебного долга будут представлены для поощрения министром внутренних дел республики.

Параллельно с мерами по стабилизации обстановки в регионе правоохранительными органами республики предпринимаются усилия для всестороннего расследования происшедших событий. «5 июля прокурором республики возбуждено уголовное дело, в которое сведены 24 факта различных правонарушений, имевших место в регионе в конце июня и начале июля, — говорит заместитель начальника общего отдела Прокуратуры Грузинской ССР старший советник юстиции В. Шенгелия. — Для расследования создана специальная группа в составе 80 сотрудников правоохранительных органов, в том числе и 30 следователей прокуратуры, которыми ведется интенсивное расследование, призванное установить все обстоятельства, предшествовавшие возникновению беспорядков, выявить наиболее активно участвовавших в них лиц».

Скорейшее окончание следствия даст возможность сказать людям всю правду о происшедшем, расставить все точки над «i», положить конец все еще имеющимся беспочвенным слухам. Все это надо сделать для восстановления мира и согласия между веками живущими на этой древней земле людьми разных национальностей, для того чтобы сделать наметившиеся перемены к лучшему необратимыми.

**А. ЦАТУРОВ,**
**А. МАЛАЯНЦ,**
**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**

* * *

**НА СНИМКАХ: с жителями г. Марнеули беседуют участковый инспектор Махинджаурского отделения Хелвачаурского РОВД старший лейтенант милиции О. Мехелидзе и командир подразделения Марнеульского РОВД сержант милиции В. Исламов; за рассмотрением очередного уголовного дела члены созданной прокуратурой республики группы — прокурор Марнеульского района советник юстиции Г. Эбралидзе и старший следователь прокуратуры г. Тбилиси Б. Мжаванадзе.**

## მოსახლეობის მადლიერება

**პატივცემულო** შოთა ვარლამის ძევ! ჩემი და მთელი ქართველი ხალხის სახელით დიდ მადლობას გიხდით ჩვენი თანადგომისათვის, რომელსაც თქვენ ახორციელებთ მარნეულის, ბოლნისის და დმანისის რაიონებში. ნათქვამია, ჩემი მილიცია მე მიცავსო, მაგრამ არ მეგონა თუ მართლა ასე იყო.

ნამდვილი პატრიოტები ყოფილან თქვენი თანამშრომლები, მინდა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ და გისურვოთ დიდხანს სიცოცხლე, ნაყოფიერი მუშაობა და მრავალი წელი ჩვენი რესპუბლიკის სიმშვიდის სადარაჯოზე ყოფნა.

გადაეცით ჩვენი კუთვნილი სალამი თქვენს ბრწყინვალე კოლექტივს. თქვენი გამარჯვებისა იყოს!

**ვ. ნადირაძე,**
**მარნეულის რაიონი, სოფ. წერეთელი.**

**ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახანძრო რაზმის დაცვის უფროსს**

**ამ წერილით** მოგმართავთ თქვენ და თქვენს კოლექტივს, იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენი სამსახურის მუშაკმა ამხ: ლ. ბერიამ თავისი კეთილშობილური საქციელით გაგვახარა.

1989 წლის 29 ივნისს რიკოთის უღელტეხილზე გაფუჭდა ავტობუსი — ექსპრესი თბილისი-ქუთაისი, იძულებული გავხდით გზაზე დავმდგარიყავით, იმის მოლოდინში, რომ იქნებ ქუთაისის მიმართულებით მიმავალი რომელიმე მანქანის მძღოლი ჩვენს თხოვნას შეისმენდა, სათანადო ღირებულებას გადაგვახდევინებდა და ჩაგვიყვანდა ქუთაისამდე. რამდენიმე ხანი ჩვენს თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია (ბევრმა სრულიად ცარიელმაც გაიარა, მაგრამ გაჭირვებაში მყოფთათვის ხელი არავის გამოუწვდია). ბოლოს ჩვენივე თხოვნით გაჩერდა მანქანა, რომელსაც, როგორც შემდეგ გავარკვიეთ, მართავდა თქვენი სამსახურის ახალგაზრდა მუშაკი ლ. ბერია. მისივე თანხმობით მანქანაში ჩავსხედით სამი მამაკაცი და ერთი ხანში შესული ქალი. ქუთაისში ჩასულებმა ფული შევთავაზეთ მძღოლს, მან ეს იუხერხულა და გვითხრა: მე მხოლოდ მეგობრული გრძნობით მოგემსახურეთ და არა ფულის აღების მიზნით. განცვიფრებულები დავრჩით და შინაგანად გავიხარეთ, რომ კიდევ ყოფილა საქართველოში ნამდვილი ქართული გულისა და სულის ადამიანი...

პატივისცემით **ნოე შანიძე.**
ქ. ქუთაისი.

# მეტი პასუხისმგებლობით

**შინაგან** საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოსთან ერთად უკვე მეორე წელია ავტოინსპექტორთა რიგითი შემადგენლობის რეზერვის შესარჩევად ატარებს კონკურსს. კონკურსში მონაწილეობენ ინსტიტუტის მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი სექციის წევრები, სამინისტროს პოლიტიკური განყოფილებისა და კადრების სამმართველოს წარმომადგენლები.

მონაცემების საფუძველზე, რესპუბლიკის რიგ რაიონებში, კერძოდ ოზურგეთში, ტყიბულში, ჩოხატაურში, ხარაგაულში, ერთი სიტყვით 11 რაიონში აღინიშნა სახავტოინსპექციის რიგითი შემადგენლობის კადრების ნაკლებობა. სწორედ ასეთთა შერჩევის მიზნით გაიმართა ამ დღეებში კონკურსი, რომელშიც 24 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ტრადიციისამებრ კონკურსი ორი ტურისაგან შედგება. პირველ ტურში მოწმდება კონკურსში მონაწილეთა მოძრაობის წესების ცოდნა. 24-დან 12 ახალგაზრდას უარი ეთქვა რომ მეორე ტურში მიეღო მონაწილეობა. გაიმართა დიალოგი. კომისიის წევრები გაესაუბრნენ გამარჯვებულებს. 12-დან 6 ახალგაზრდის პასუხი არადამაკმაყოფილებლად შეფასდა. კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს ოზურგეთის, ონის, ჩოხატაურის, დმანისის, ფოთის წარმომადგენელთა პასუხები. ბუნებრივია, ისინი დაინიშნებიან შესაბამისად რაიონების მიხედვით, რიგით ავტოინსპექტორის თანამდებობაზე, მაგრამ...

კონკურსმა ჩაიარა და ათასი ფიქრები დაგვიტოვა. დამეთანხმებით, ახალგაზრდა, რომელიც ავტოინსპექტორობაზე ოცნებობს, პირველ რიგში სწავლობს მოძრაობის წესებს და რა სამწუხაროა, უფრო სწორად სირცხვილია, რომ შენი მოძრაობის წესების ცოდნა ორიზე ფასდება. აშოლტილი ახალგაზრდა დაბნეულია, შეშინებულივითაა, იმ წუთში მიწა რომ გასკდეს და ჩაიტანოს ალბათ თანახმა იქნება, ეს არაფერი, მეორე ტურია უფრო „შთამბეჭდავი". ისეთ პრიმიტიულ კითხვაზე, როდის მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, ანდა რა იცის ილია ჭავჭავაძის, ანდა აკაკი წერეთლის შესახებ, ურცხვად გაირინდებიან, მიაშტერდებიან ერთ წერტილს და... რას კითხულობენ, ანდა თავისუფალ დროს როგორ ატარებენ რომ შეეკითხო, მხრებს აიჩეჩავენ. ქვეყანაში ანდა რესპუბლიკაში მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ მოვლენებზე მსჯელობა, დიალოგზე, ანალიზზე — ხომ ზედმეტია ლაპარაკი. არადა, შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებათა ხელმძღვანელობა, უფროსი და მისი მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში სანამ კონკურსზე გამოაგზავნიდნენ ახალგაზრდებს, მოვალენი არიან რეკომენდაციას უწევდნენ ისეთებს, რომლებიც შეეფერებიან დასაკავებელ თანამდებობას, ზედმიწევნით იცნობდნენ მათ და ისეთ უვიცებს არ უნდა გზავნიდნენ, რომ აქ ისინი სირცხვილით იწვოდნენ და იქ „გამომგზავნელებს" აყენებდნენ უხერხულ მდგომარეობაში.

საყვედური გვინდა გამოვთქვათ ოზურგეთის, ფოთის, თეთრი წყაროს, ტყიბულის, ხარაგაულის, წითელი წყაროს, ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსებისა და მათი მოადგილეების მიმართ. უფრო ყურადღებით შეარჩიეთ კანდიდატურები კოლეგებო!

**ნ. ოთიაშვილი,**
**შს სამინისტროს საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების ინსპექტორი, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი.**

# სახელოვნად გავლილი გზა

**ხარაგაულის** რაიონის გზებზე სხვადასხვა უბანზე ხშირად შეხვდებით საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორს ჯონდო სიმონის ძე თაბუკაშვილს, რომელმაც სამხედრო სავალდებულო სამსახურის დამთავრებისთანავე 1967 წელს დაიწყო მუშაობა ხარაგაულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში მძღოლ-მილიციელად.



მისი საქმისადმი სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა შეუმჩნეველი არ დარჩენია განყოფილების ხელმძღვანელობას.

1980 წელს იღებენ სკკპ წევრობის კანდიდატად, ხოლო ერთი წლის შემდეგ კი სკკპ წევრი ხდება. 1981 წლიდან საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორად აწინაურებენ, რთულ და საპასუხისმგებლო საქმესაც ჩვეულებრივი პრინციპულობით ობიექტურობით შეუდგა, მომთხოვნია სამართლიანი და მოძრაობის დამრღვევთა მიმართ შეურიგებელი, ასე იცნობენ ჩვენს რაიონში ჯ. თაბუკაშვილს, ის რომ რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევები სტაბილურია მასში ჯ. თაბუკაშვილის წვლილიც არის.

აქტიურ მონაწილეობას ღებულობს განყოფილების წინაშე მდგარი ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტაში, არა ერთი და ორი ღამე გაუთენებია ამხანაგებთან ერთად საშიში დამნაშავის დევნასა და დაკავებაში. მისი აქტიური მონაწილეობით დაკავებული იქნა 10 საშიში დამნაშავე რისთვისაც წახალისებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მადლობებით და ფასიანი საჩუქრებით.

ჯ. თაბუკაშვილი როგორც კომუნისტი ყოველთვის სამაგალითოა თანამშრომლებისათვის, მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებს პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს პოლიტმეცადინეობებსა და სემინარებში, დაჯილდოებული არის „მილიციის ფრიადოსნის სამკერდე ნიშნით". კარგი მუშაკი უყვართ და აფასებენ როგორც განყოფილებაში ასევე საზოგადოებაში.

**თ. ბოჭოლაძე,**
**ხარაგაულის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში მილიციის კაპიტანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ОКОНЧАНИЕ)

ших учебных заведениях МВД СССР. Особое внимание в ходе повышения уровня профподготовки уделяется выработке и закреплению у сотрудников умения и твердых навыков работы в условиях расширения гласности и демократии.

Повышение профессиональной подготовки осуществляется также на базе Учебного центра МВД ГССР, который к настоящему времени оснащен всеми необходимыми теоретическими материалами, пособиями, и который располагает для этого достаточно опытными и квалифицированными командно - преподавательскими кадрами.

# ПОВЫШАТЬ УРОВЕНЬ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ПОДГОТОВКИ

Регулярно осуществляемые сотрудниками УК МВД ГССР проверки показывают, что планирование и обучение личного состава в подведомственных органах и подразделениях в основном осуществляется в соответствии с установками министерства и требованиями соответствующих приказов и наставлений. Наиболее успешно эта работа осуществляется в УВД г. Кутаиси (начальник — полковник милиции Р. Тевзадзе), Руставском ГОВД (начальник — подполковник милиции В. Челидзе), Гурджаанском (начальник — майор милиции Д. Лазашвили), Дманисском (начальник — капитан милиции Р. Кавлелашвили), Махарадзевском (начальник — подполковник милиции Т. Талаквадзе) и Мцхетском (начальник — подполковник милиции С. Квиникадзе) РОВД, а также в учреждении УИД МВД ГССР, где начальником подполковник внутренней службы М. Майсурадзе.

Вместе с тем, несмотря на предпринимаемые за последние годы управлением кадров энергичные последовательные меры, направленные на существенное преобразование всей системы профессиональной подготовки и реальное повышение ее действенности, далеко еще не все руководители местных органов и подразделений сумели отрешиться от стереотипа недооценки значимости работы по профессиональному совершенствованию своих подчиненных.

В ходе последних итоговых проверок, проведенных в конце 1988 года, были отмечены неединичные факты низкой исполнительской дисциплины и даже прямого игнорирования некоторыми руководителями ОВД конкретных требований управления кадров об особенностях организации учебы в системе профессиональной подготовки. Одной из главных причин просчетов в постановке обучения кадров, как и прежде, явилось халатное, безразличное отношение некоторых руководителей на местах к этой работе, несмотря на то, что именно они несут непосредственную, персональную ответственность за надлежащую организацию и состояние этой работы в подчиненных им коллективах.

Именно эти обстоятельства лежат в основе неудовлетворительного состояния работы по профессиональному совершенствованию личного состава в отдельных органах и подразделениях, среди которых наихудшие показатели были выявлены в Аспиндзском (начальник — подполковник милиции Х. Тивадзе), Местийском (бывший начальник — подполковник милиции Н. Мгалоблишвили) РОВД, а также в подразделениях УИД МВД ГССР, где начальниками подполковники внутренней службы Б. Бацашвили, Г. Хухия и майор внутренней службы Р. Лекишвили.

Перечисленным и другим органам внутренних дел, в которых уровень профессиональной подготовки сотрудников не вполне отвечал установленным требованиям, в текущем году оказывается необходимая практическая и методическая помощь.

Отдел профессиональной подготовки управления кадров МВД ГССР, все службы, органы и подразделения на местах прилагают все усилия для того, чтобы каждый сотрудник ОВД республики стал образцовым представителем правоохранительного органа новой формации, компетентным специалистом своего дела, полностью отвечал по своим моральным и профессиональным качествам предъявляемым на сегодняшний день требованиям.

**Г. КСОВРЕЛИ,**
**майор милиции, начальник отдела профессиональной подготовки УК МВД ГССР.**

# რთულ უბანს მეტი ყურადღება

**რთული** უბანი მაბარია, საკმარისია, ოდნავ მოვადუნო ყურადღება, რომ შესამჩნევი და თვალში საცემი ფაქტები ერთბაშად იყრის თავს. ამიტომ ოკამის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მუდმივი და სისტემატური მეთვალყურეობაა საჭირო.

მუშაობას ისიც ართულებს, რომ სწორედ ამ უბანზე გადის ცენტრალური ტრასა. ადრეული გაზაფხულიდან დაწყებული გვიან დაზამთრებამდე ტრასაზე გამოფენილია აქვე ადგილობრივი მაცხოვრებელი მოსახლეობა და ჰყიდიან სხვადასხვა საკვებ პროდუქტებს, ხილსა თუ ბოსტნეულს, აქვე აძოვებენ საქონელს და სწორედ ტრასაზე იყიდება მათი ცხვარიც. ზოგჯერ ისეთ უცნაურ სანახაობას წააწყდება ადამიანი აქ, რომ მისი წარმოდგენაც კი არ შეიძლება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ვერ იქნა და ვერ აღვკვეთეთ ასეთი დანაშაულობანი ტრასაზე. რასაკვირველია ის გვაწუხებს და ის გვაღელვებს, რომ ტრასაზე ასეთ უცნაურ „ვაჭრობასა" და სახელდახელოდ გამართულ დახლებს ძალიან ცუდი შედეგები მოაქვს. ხშირ შემთხვევაში სწორედ მათი მიზეზით ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები, რომლებიც სამწუხაროდ ადამიანთა მსხვერპლით მთავრდება.

რას ვაკეთებთ ჩვენ? უბნის ინსპექტორს მართალია, გულხელის დაკრეფა არ ეკადრება ამ შემთხვევაში, სათანადო ღონისძიებებსაც ვატარებთ, მაგრამ მაინც ვერ მივაღწიეთ სრულ წესრიგს. რომ იტყვიან „დამსჯელი რაზმივით" ვადგევართ თავზე, თითოეულ ოჯახთან, თითოეულ ეზოში დღეში ალბათ ხუთჯერ და ათჯერ გვიწევს მისვლა, მათთან საუბარი, გაფრთხილება, ვსჯით, ვაჯარიმებთ, მაგრამ გზის პირებზე მაინც გვხვდებიან აქაური ქალები და ბავშვები, უმეტესად ახალგაზრდები, რომლებსაც უდიერად უკავიათ ხელში ბლის დახუნძლული ტოტები და ათასგვარი ხილით სავსე ხონჩები. ისინი მოურიდებლად სთავაზობენ ტრასაზე გამვლელებს, ბევრჯერ სწრაფი სიჩქარით მომავალ ავტომანქანებისაც არ ერიდებიან, ცხვირწინ უჩერდებიან.

ზაფხული თანდათან ძალაში შედის, ახლაა სწორედ ის პერიოდი, როცა მოსახლეობა უფრო ფართო მასშტაბით იწყებს ყიდვა-გაყიდვას გზის პირებზე. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო უნდა მოეღოს ამ მავნე ჩვევას. გადაწყვეტილი გვაქვს უფრო მეტი პრინციპულობა და აქტიური ბრძოლა გამოვუცხადოთ მას.

**ა. მურადაშვილი,**
**ასპინძის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი.**

МИЛИЦЕЙСКИЕ БУДНИ

# ПРОЯВИЛ БДИТЕЛЬНОСТЬ

**РАБОТА** по обеспечению общественного порядка, охране безопасности граждан часто требует от сотрудников органов внутренних дел не только высокого профессионального мастерства, но и мужества, смелых и решительных действий. Немало таких бесстрашных стражей правопорядка работает в Сухумском ГОВД. Среди них — и инспектор дорожно-патрульной службы, рядовой милиции Р. Кирвал-оглы.

Роланд Темурович не новичок в милиции, уже более восьми лет успешно выполняет свои нелегкие служебные обязанности. Многое пришлось испытать ему за эти годы, немало пришлось задержать правонарушителей. Вот только один недавний эпизод из его служебной биографии.

В тот обычный весенний день житель Сухуми С. Чикириди, как обычно, утром выехал в город на своей автомашине «Жигули», которую он использовал в качестве индивидуального такси. Примерно в 15 часов на ул. Тимирязева его остановили двое молодых парней и попросили отвезти в город. По пути по их просьбе подобрали и третьего пассажира.

Все шло как обычно, но внезапно один из пассажиров крикнул: «Стой!». Едва С. Чикириди успел затормозить, как прямо перед его лицом угрожающе блеснуло лезвие ножа. Сопротивляться было бессмысленно, и вскоре водитель оказался настоящим пленником «пассажиров», которые отобрали у него наручные часы и деньги, а затем связали руки и ноги проволокой и посадили на заднее сидение салона.

Когда машина проезжала по Тбилисскому шоссе мимо поста ГАИ Р. Кирвал-оглы, заподозрив неладное, попытался ее остановить, но водитель на его указание не отреагировал и только прибавил скорость. Доложив по рации дежурному по ГОВД о происшедшем, Р. Кирвал-оглы стал преследовать подозрительную машину, стремясь не упустить ее из виду. Неожиданно преследуемая машина свернула с трассы в один из тупиков ул. Батумской и остановилась.

Используя предоставившуюся возможность, инспектор ГАИ быстро подвел свою машину к преследуемой вплотную со стороны водителя, чтобы перекрыть ему пути бегства. Двое преступников, выскочив из автомашины, бросились в разные стороны, а третий, несмотря на оказанное сотруднику милиции сопротивление, был в считанные мгновенья скручен и вместе с пострадавшим доставлен в ГОВД.

Через несколько дней были задержаны и другие соучастники данного преступления. Ими оказались рабочий универмага «Батуми» Ю. Е., ранее судимый и без определенного места жительства и рода занятий В. С. и Ю. С. Последний кстати, как выяснилось в дальнейшем, совершил в Абхазии еще ряд тяжких преступлений. Так, например, в ночь на 18 декабря прошлого года в селе Гумиста Сухумского района он проник в спальное помещение гр-ки Т. Башевой, у которой работал по найму, и под угрозой ножа взял у нее деньги в сумме более трех тысяч рублей и скрылся. По приведенным выше фактам возбуждено уголовное дело.

Так благодаря бдительности и профессиональному мастерству сотрудника ГАИ была задержана группа опасных преступников. За умелые и оперативные действия рядовой милиции Кирвал-оглы недавно награжден Почетной грамотой МВД Абхазской АССР.

**В. ДЖИНДЖОЛИЯ,**
**подполковник милиции, начальник политической части Сухумского ГОВД.**

# საზოგადოებამ მკაცრად უნდა დაგმოს






**საზოგადოებრიობის** სამართლიან აღშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გატანის მიუტევებელი ფაქტები, მითუმეტეს ახლა, როცა ჩვენს საკოლმეურნეო ბაზრებში ხილი და ბოსტნეული მამასისხლად იყიდება, ხოლო ხანგრძლივი გვალვის გამო რესპუბლიკა შესაძლოა, აღნიშნული პროდუქტების მწვავე დეფიციტის წინაშეც აღმოჩნდეს.

„მლეთის" ავტოინსპექციის საგუშაგოზე ბოლო დროს ძალზე გართულდა მდგომარეობა. მოზღვავდა პამიდორით დატვირთული ავტომანქანები, უმთავრესად გარდაბნისა და მარნეულის რაიონებიდან, აქ თავს იყრიან ისინი, ვისაც თავისი უკეთური ზრახვების განსახორციელებლად არც საზოგადოებრივი აზრი აწუხებთ, არც საკუთარი ღირსების შელახვა ანაღვლებთ დიდად. ოღონდ კი რამენაირად მოახერხონ ჩვენი მიწა-წყლის დოვლათი საქართველოდან გაიტანონ და უცხო ბაზრებზე გაყიდონ.

რაგინდ სამარცხვინო იყოს, სათქმელი მაინც უნდა ითქვას:

ბოლო დროს ხილით მოვაჭრე ზოგიერთმა ჩვენმა, კახეთში მცხოვრებმა თანამემამულემაც გვიმტყუნა იმისათვის, რომ კახეთის დოვლათი საქართველოდან არ გაიტანონ, „მლეთის" ავტოინსპექციის საგუშაგოს მუშაკებს ხელჩართული ბრძოლა უწევთ გადამყიდველებთან. თავზეხელაღებულმა ქორვაჭრებმა შლაგბაუმის ჯებირიც კი გაანგრიეს და უამრავ ავტომანქანას საზღვრისაკენ გაქცევის საშუალება მისცეს.

სევდის მომგვრელი და დასანანია, რომ ახლა, როცა ჩვენში ურთულესი პროცესები მიმდინარეობს, როცა უკეთესი მომავლისათვის იღვწის სრულიად საქართველო, ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს იოლი გზით გამდიდრების სენი შეჰყრია და მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ფიქრობს. ამ სულმდაბალი ადამიანების ულირსი საქციელი, რომლებიც საქართველოდან ჩვენს მიწა-წყალზე მოწეული მოსავლის გატანას ლამობენ, სამშობლოს ღალატის ტოლფასია და საზოგადოებრიობა მკაცრად გმობს მათ.

ამ დღეებში „მლეთის" საგუშაგოსთან ასობით ავტომანქანა დააკავეს, მათ შორის — 80 მხოლოდ გურჯაანის რაიონიდანაა. თითოეული ავტომობილის აღნუსხული სახელმწიფო ნომერი მისი მფლობელის დასადგენად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეცემა ადგილობრივ ავტოინსპექციის სამსახურებს.

ახლა როკის უღელტეხილთანაც გამწვავდა მდგომარეობა, უწყვეტ ნაკადად მოედინება ხილით დატვირთული ავტომანქანები კახეთის სოფლებიდან. შეუძლებელი ხდება მათი შეკავება მხოლოდ ავტოინსპექციის ძალებით, რომელსაც ამ დაძაბულ დღეებში ისედაც მრავალი სხვა პრობლემა და საზრუნავი აქვს.

ამიტომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მკაცრად უნდა გააფრთხილონ ყველა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებს, ცეკავშირსა და ცალკეულ მოქალაქეებს, ეკრძალებათ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია პროდუქტების დამზადების რესპუბლიკური გეგმის შესრულებამდე.

**ზ. ბზულაძე,**
**საქ. სსრ შს სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს პროპაგანდისა და აგიტაციის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი, მილიციის მაიორი.**

## ВЕЛИКОЙ ФРАНЦУЗСКОЙ РЕВОЛЮЦИИ — 200 ЛЕТ



**В этн дни во Франции торжественно отмечается знаменательная дата всемирной истории — 200-летие Великой французской революции.**

**Праздник обещает быть красочным и незабываемым. Юбилейные торжества открываются концертом в новом здании парижской Оперы на площади Бастилии, куда приглашены все главы иностранных делегаций.**

**Состоится праздничный парад и гигантское представление «Марсельеза», которое пройдет с Елисейских полей до площади Согласия с участием артистов всего мира, в том числе из Советского Союза. А 15 июля до поздней ночи над площадью Тронадеро у Эйфелевой башни будет греметь фейерверк. И все эти дни Париж не перестанет петь и танцевать до самого утра.**

СПОРТ ❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀❀ СПОРТ

# Весомый вклад динамовцев

В ДОНЕЦКЕ, где продолжаются Всесоюзные молодежные игры СССР, завершили спор за награды теннисисты. В соревнованиях, которые на этот раз были только лишь командными, принимали участие сильнейшие теннисисты союзных республик не старше 20 лет. Успешно выступила сборная команда Грузинской ССР, в состав которой вошло пятеро динамовцев.

В первом круге грузинские теннисисты обыграли сборную молодежную команду Армении со счетом 9:1 и вышли в четвертьфинал, где их соперником стала сборная Белоруссии. И в этой встрече сильнее были грузинские теннисисты, которые, победив со счетом 8:4, вышли в полуфинал.

В полуфинале наши мастера ракетки встретились с сильным соперником — сборной Москвы и уступили 2:7. В другом полуфинальном матче сборная Украины победила команду Латвии 7:2 и тоже вышла в финал.

В упорной и драматичной борьбе проходил финальный матч. После одиночных и парных встреч счет был ничейным 6:6, все решала последняя встреча в смешанном парном разряде. Украинские теннисисты, уступив первый сэт, выиграли второй, а в третьем, решающем, при счете 6:6 лишь на тай-брейке вырвали победу, а с ней и золотые награды.

В борьбе за бронзовые награды сборная Грузии обыграла латвийских теннисистов 8:4. Свою лепту в этот успех внесли теннисисты-динамовцы — мастера спорта международного класса В. Габричидзе и Д. Качарава, мастера спорта Э. Бокучава, Л. Тамирова и В. Тухарели.

А. МАЛАЦИДЗЕ.



НА СНИМКЕ: лидеры сборной команды Грузии — мастера спорта международного класса Л. Месхи, В. Габричидзе.

# რა ვიცით ინტერპოლის შესახებ?

**ინტერპოლს** ხშირად სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიციას უწოდებენ ეს მცდარი აზრია. მისი სრული და სწორი დასახელებაა — სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია, რაც თვალნათლივ მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია და არა საერთაშორისო პოლიცია.

ინტერპოლის განკარგულებაში არ არის და არც არასდროს ყოფილა პოლიციის სამწყობრო და ოპერატიული სამსახურები. ორგანიზაციას არ გააჩნია აგრეთვე კომპეტენცია მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება და გასცეს განკარგულება მისი შესრულებისათვის მონაწილე ქვეყნების პოლიციებს.

თავისი სტრუქტურითა და სამართლებრივი სტატუსით ინტერპოლი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ტიპიურ საერთაშორისო ორგანიზაციად, ისეთად, როგორებიც მსოფლიოში მრავლადაა.

ინტერპოლის მთავარი, გადამწყვეტი ორგანოა გენერალური ასამბლეა, მისი სესიები იკრიბება ყოველწლიურად. აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს ყველა მომწიფებულ პრობლემას სესიიდან სესიამდე და იკრიბება წელიწადში სამჯერ.

აღმასრულებელი კომიტეტი შედგება ცამეტი წევრისაგან რომლებსაც ირჩევს ასამბლეა.

აღმასკომის მუშაობას უძღვება პრეზიდენტი, რომლის თანამდებობაც ასევე არჩევითია. ამჟამად პრეზიდენტის პოსტი უკავია საფრანგეთის წარმომადგენელს, ჟივანე ბარბოს, რომელიც ამ სამუშაოს წარმატებით უთავსებს თავის მთავარს, იგი არის საფრანგეთის შს სამინისტროს ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორი და ხელმძღვანელობს პოლიციის სამსახურს.

ინტერპოლის მუდმივად მომქმედი აპარატია მისი სამდივნო, რომელსაც ამჟამად ინგლისელი რ. ქენდლი ხელმძღვანელობს.

ინტერპოლის სტრუქტურაში შედის კიდევ ეროვნებათა ცენტრალური ბიურო, რომლის შექმნა ევალება ყველა ქვეყნის პოლიციას რათა ჰქონდეთ მუდმივი კონტაქტი ინტერპოლის სამდივნოსთან, როგორც ვიცით საბჭოთა კავშირი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი არ არის და არც ახლო მომავალშია მისი გაწევრიანება მოსალოდნელი, მაგრამ ზოგიერთი სოციალისტური ქვეყანა აქტიურად არის ამ ორგანიზაციის მუშაობაში ჩაბმული.

ასე მაგალითად: იუგოსლავია მონაწილეობს ინტერპოლის მუშაობაში მისი შექმნის დღიდანვე, 1923 წლიდან. ასევეა რუმინეთიც იგი ინტერპოლის წევრია 1943 წლიდან, 1981 წელს ინტერპოლის რიგები შეავსო უნგრეთმა და 1984 წელს ჩინეთმა.

ყველა ეს ქვეყანა, როგორც უკვე აღვნიშნეთ აქტიურად მონაწილეობენ ორგანიზაციაში და მისი წევრები აღნიშნავენ, რომ ინტერპოლი არის საიმედო დამხმარე ძალა საერთაშორისო დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

### КАЛЕЙДОСКОП

## С КУРОРТА — В РАБСТВО

**В Паттайе** — морской курорт в Таиланде — раскрыта преступная группа, промышлявшая торговлей людьми. Арестованы местные офицеры полиции. Число задержанных перевалило за сотню. Им будет предъявлен целый букет обвинений, в том числе, связь с «якудза» — японской мафией. Именно в Паттайе, где в барах, дансингах, кабаре работают 10 тысяч женщин, для многих и начинается путь в рабство.

Как правило, жертвам предлагали «хорошо оплачиваемую работу» в Японии и возвращение на родину через пару лет с солидными деньгами. Сбитая с толку женщина, стремясь вырваться из нищеты, подписывала контракт, получала «билет в рай» и соответствующие документы, после чего оказывалась в публичном доме Токио или Осаки. Дельцы при этом наживали миллионы иен. Тех, кто вздумал противиться, преступники пытали. По источникам прессы, в Японии сейчас насчитывается около 100 тысяч рабынь, причем, не только из Таиланда, но и из других стран Азии. Японской полиции все отлично известно, пишет газета «Бангкок пост», но она закрывает на это глаза...

**სწორედ** რომ დროულად ახსენა ელისო ჯაველიშვილმა სახლში წასვლა. ისე, რომ ამ საკითხზე გადასვლა გამომძიებელ ყანჩაველსაც რომ მოენდომებინა, ალბათ ასეთ მოხერხებულ დროს ვერ შეარჩევდა, ასეთ მოხერხებულ გარემოებას მთავარი სათქმელის სათქმელად ვერც შექმნიდა და დაუყოვნებლივ, თითქოს ეშინოდა მომენტი არ გაპარვოდა და არ დაეგვიანა ელისო ჯაველიშვილს უთხრა:

— ქალბატონო ელისო — უპირდა გამომძიებელს ხმის ამოღება, მაგრამ გეგმით თუ ბედით, მას ერგო ამ მისიის შესრულება — თქვენ ამ ღამეს სახლში ვერ წახვალთ, თქვენ დაკავებული ხართ.

ლები შეყარა კარადაში, ჩაკეტა და სულხანიშვილთან შევარდა.

სულხანიშვილი [illegible] ფანჯარაში იყურებოდა, სადღაცა შორს წასულიყო... ყანჩაველი რომ შევიდა დინჯად მოაბრუნა თავი გაუღიმა და:

— რა ჰქენი ბენო? — ჰკითხა.

— დავაკავე ბატონო ტერენტი, მაგრამ მე მგონი არაფერი გამოგვივა თუმცა არ გაუპროტესტებია და ეს მაფიქრებს — უთხრა ყანჩაველმა ისეთი კაცის კილოთი, რომელსაც ეს ეს არის რამდენიმე ტონა ტვირთი ჩამოხსნეს მხრებიდან. და ყანჩაველი დაწვრილებით მოუყვა ყველაფერს, რაც მის სამუშაო ოთახში მოხდა ჯაველიშვილის დაკავებასთან დაკავშირებით.

ზ. ბოგბია

# „თანამედროვე აფა“

## (დოკუმენტური რომანი)

ეს უთხრა გამომძიებელმა და პირდაპირ თვალი თვალში გაუყარა ჯაველიშვილს.

ჯაველიშვილს ვერ გაეგო, თუ გაიგო და ჯერ ვერ გაიაზრა, რა უთხრეს, რამდენიმე წამით გახევდა, მერე ტუჩებზე თითქოს ღიმილის მსგავსმა გადაურბინა, ალბათ რაც მოესმა, ხუმრობა ეგონა და გამომძიებელს ჰკითხა:

— თქვენ მე მითხარით, რომ მე დაკავებული ვარ? — ჩვეულებრივი ტონით ჰკითხა ჯაველიშვილმა, მაგრამ წინადადების დამთავრებისას მღელვარებისაგან სიტყვა ვერ დაამთავრა.

სათქმელი უკვე ითქვა. თუ გამომძიებელი ძალიან ღელავდა მთავარი სათქმელის თქმამდე, ეხლა უკვე სრულიად დაეუფლა თავს და ჩვეული ოფიციალური, ოდნავ რიხიანი ტონით გაუმეორა:

— დიახ, დიახ, მოქალაქე ელისო ჯაველიშვილო, თქვენ დაკავებული ხართ.

ჯაველიშვილმა თავი ჩაღუნა და ისღა მოახერხა ეკითხა გამომძიებლისათვის.

— კი მაგრამ ამიხსენით მაინც რატომ? — თქვა, მაგრამ ეს უკვე ნირწამხდარი ადამიანის კილო იყო. ალბათ მიხვდა, რომ ასეთ საკითხებზე აქ, მილიციის შენობაში არ ხუმრობდნენ... გახსნა ხელჩანთა, ამოიღო ცხვირსახოცი და თავჩაღუნულმა თვალებზე აიფარა.

გამომძიებელმა გამოიძახა მორიგე და უთხრა:

— ამხანაგო თოფჩიშვილო, ეს მოქალაქე დაკავებულია, შეავსეთ სათანადო ოქმი და ცალკე საკანში მოათავსეთ.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო — მიუგო მორიგემ — თავისუფალი საკანი არა გვაქვს.

— ეგ უკვე მე არ მეხება, საკითხი შეათანხმეთ ქვეგანყოფილების უფროსთან — უთხრა გამომძიებელმა მორიგეს მკაცრი, გროტესკული სახის გამომეტყველებით.

გამომძიებლისა და მორიგის ბოლო დიალოგი გეგმით იყო გათვალისწინებული, და რეპეტიციების შემდეგ სცენაც კარგი გამოვიდა.

ერთი სული ჰქონდა გამომძიებელს, როგორც კი გაიყვანეს ჯაველიშვილი ოთახიდან, მაშინვე საქმის მასალები შეყარა კარადაში...

— ე. ი. ჯაველიშვილს მოვათავსებთ იმ საკანში, სადაც ის რუსის ქალია მოთავსებული, წვრილმანი ხულიგნობისათვის რომ იხდის ადმინისტრაციულ სასჯელს არა? — იცოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დასაზუსტებლად ჰკითხა გამომძიებელმა სულხანიშვილს.

— ეს დებულების დარღვევა კი არის, მაგრამ სხვა საშუალება ჩვენ არა გვაქვს, თანაც გეგმაშიც ასე გვიზის — უპასუხა სულხანიშვილმა.

— ის რუსის ქალი მგონი ხვალ გადის არა საკნიდან, ვადას [illegible]თავრებს არა? მე ასე მახსოვს — ჰკითხა გამომძიებელმა სულხანიშვილს.

— კი ხვალ საღამოს უნდა გავუშვათ და ჯაველიშვილი მარტო დარჩება საკანში. თუ ჯაველიშვილი უდანაშაულოა ბალაშვილების ბინის გაქურდვაში იმ რუსს არაფერს დააბარებს, ხოლო თუ ხელი ურევია ამ ავკაცობაში მაშინ აუცილებლად დააბარებს ვინმესთან რამეს — უპასუხა სულხანიშვილმა და დაამატა —რუსი ქალი გალია სოკოლოვსკაია როგორც კი გავა მილიციის შენობიდან, მასზე მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს, უნდა გაიზომოს და შემოწმდეს მისი ყოველი ნაბიჯი, მისი ყველა კავშირი, ამისთვის ბიჭები უკვე მზად არიან, გრაფიკი შედგენილია, ყველამ თავისი მოვალეობა იცის, მეტი რა უნდა მაგ ლოთ მამაძაღლს გავა აქედან და მილიციის ექვსი თანამშრომელი გააცილებს ესკორტით და ასევე ექვს-ექვსი კაცი უთვალთვალებს. ხედავ რა ზარ-ზეიმით ვუშვებთ მილიციიდან ხალხს — ხუმრობის კილოთი დაამთავრა სულხანიშვილმა და მისებურად, თავშეკავებულად გაიცინა.

ორივე გაჩუმდნენ.

ყანჩაველი ცოტა ხნით კიდევ დარჩა სულხანიშვილთან სამუშაო ოთახში. მამაკაცებმა მამაკაცურად წაიჭორავეს და გამომძიებელი ცოტა ხნის შემდეგ ისევ თავის სამუშაო ოთახს დაუბრუნდა.

რკინის კარადიდან გამოიღო ბალაშვილების საქმე და ბოლო დღეებში მოპოვებული მასალები მოიყვანა წესრიგში — თანმიმდევრობით დაალაგა და ჩააკრა საქაღალდეში.

●

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი“ №№ 21-28.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

### Объявление

С 11 июля по 31 августа 1989 года ежедневно (кроме воскресенья) с 6.00 до 9.00 на водно-спортивном комплексе им. Ленинского комсомола [illegible] [illegible] сотрудников [illegible] ... МВД Грузинской ССР.

ОТДЕЛ ФИЗПОДГОТОВКИ УК МВД ГССР.

ინდექსი 66635

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064: გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორის მაგივრ ა. ცატუროვი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე — 00847